პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---მარტი 2019 წელი

ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, ცოლიკაურის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი შესახვევისთვის სახელმწიფო მოღვაწის ირაკლი ჟორდანიას სახელის მინიჭების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) კრწანისის რაიონში, ცოლიკაურის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ ორ შესახვევს მიენიჭოს სახელმწიფო მოღვაწის ირაკლი ჟორდანიას ქუჩის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე

X=486202 Y=4614401
X=486135 Y=4614336
ირაკლი ჟორდანიას ქ
II შეს
I შეს
X=486339 Y=4614190
X=486199 Y=4614190
X=486207 Y=461409

ირაკლი ჟორდანია

(1931-2018)

ინჟინერი, მეცნიერი

დაიბადა თბილისში. **დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საინჟინრო ფაკულტეტი 1955 წელს.**

1955-1976 წწ. იყო რუსთავის მეტალურგიული კომბინატის ინჟინერ-მკვლევარი, მუშა, ოსტატი, ცვლის უფროსი, საამქროს უფროსი, ცენტრალური ლაბორატორიის უფროსი; 1976-1984 წწ. საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მეცნიერებისა და ტექნიკის განყოფილების უფროსი, თავმჯდომარის მოადგილე; 1977-1989 წწ. საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის წევრი; 1985-1996 წწ. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ლითონთა წნევით დამუშავების კათედრის პროფესორი; 1989 წლიდან დღემდე საქართველოს მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტში ლითონების უწყვეტი ჩამოსხმის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, დირექციის კონსულტანტი; 1990-1993 საქართველოს მეცნიერებისა და ახალი ტექნოლოგიების მინისტრი; 1996-2002 წწ. საქართველოს ჰოლდინგური კომპანია „საქსამთომეტალურგის“ პრეზიდენტი; 1997-2005 წწ. რუსთავის მეტალურგიული კომბინატის გენერალური დირექტორი; 2006 წლიდან იყო საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე. 103 სამეცნიერო სტატიისა და 14 მონოგრაფიის ავტორია.

გარდაიცვალა 2018 წელს.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES

0108 თბილისი, რუსთაველის პროსპ. 52
დეპეშებისათვის: თბილისი 8, მეცნიერება
ტელ./ფაქსი: 299-00-52; 299-88-91
ელ. ფოსტა: kancelaria@science.org.ge

"4" 05 2018 წ.
№ 010107-465/209
თქვ. №

04/03/8124137-03

ქ. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს
ბ-ნ გ. ტყემალაძეს

ბატონო გიორგი,

მოგმართავთ ქართული სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების სახელით: გარდაიცვალა ირაკლი ჟორდანია - გამოჩენილი ქართველი ინჟინერი და მეცნიერი, აკადემიკოსი, საბჭოთა კავშირის ლენინური პრემიის ლაურეატი, ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ერთერთი ხელმომწერი.

მისი სახელის უკვდავსაყოფად, რაც მიგვაჩნია აუცილებელ საქმედ, შემოვდივართ წინადადებით თბილისის რომელიმე ქუჩას მიენიჭოს მისი ერთერთი ღირსეული შვილის (მოქალაქის) ირაკლი ჟორდანიას სახელი.

საჭიროების შემთხვევაში წარმოგიდგენთ თქვენს მიერ მოთხოვნილ დოკუმენტაციას.

პატივისცემით,
პრეზიდენტი
გ. კვესიტაძე

საკონტაქტო პირი
აკადემიის პრეზიდენტის მრჩეველი

გივი აბდუშელიშვილი
ტელ: 577-541-541

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

წერილის ნომერი:03-031733969
თარიღი: 05/12/2017

ადრესატი:

თინათინ ნიბლოშვილი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-
კომისიის თავმჯდომარე

ქალბატონო თინათინ,

გთოხვთ, ამ საკადასტრო ნომრის მიხედვით N 01.18.05.007.033 შესაბამის ქუჩას მიანიჭოთ სახელწოდება და მოახდინოთ მისი სისტემური ნუმერაცია.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
მაჟორიტარი წევრი

ქეთევანი
მამულაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

წერილის ნომერი: 03-031735224
თარიღი: 18/12/2017

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას ქ. 7

ასლი:

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

ასლი: ქეთევან მამულაშვილს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ქეთევან მამულაშვილის 2017 წლის 5 დეკემბრის საქმე #03-031733969 დაკავშირებით ე.წ. ხეივნის დასახლებაში, უსახელო ქუჩის სახელდებაზე.

როგორც მოგეხსენებათ, ქ.თბილისისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14- 59 დადგენილების მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კომისია ვალდებულია სახელდების შესახებ დაყენებულ ინიციატივას დაურთოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურიდან (სსიპ-ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური) მოპოვებული გეოგრაფიული ობიექტის აღმნიშვნელი კარტოგრაფიული მასალა XY კოორდინატების მითითებით WGS-84 კოორდინატთა სისტემაში. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ ინტერაქტიული რუკის მეშვეობით შესწავლილი იქნა უსახელო გეოგრაფიული ობიექტის მდებარეობა და მის მიმდებარედ სახელდებული ქუჩები. ჩვენი მოსაზრებით, ქუჩის განვითარების არეალმა უნდა მოიცვას ჩვენს მიერ რუკაზე არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია (იხილეთ დანართი).

გთხოვთ, შეისწავლოთ განცხადებაში მითითებული გარემოებები და გამოგვიგზავნოთ ქუჩის სიტუაციური ნახაზი შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

წერილის ნომერი: 03-031808939
თარიღი: 30/03/2018

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: შარტავას ქ. 7ა

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსს
ქალბატონ რუსუდან მირზიკაშვილს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი კრწანისის რაიონში უსახელო ქუჩების სახელდებასთან დაკავშირებით.

როგორც მოგეხსენებათ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14- 59 დადგენილების მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კომისია ვალდებულია სახელდების შესახებ დაყენებულ ინიციატივას დაურთოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურიდან მოპოვებული გეოგრაფიული ობიექტის აღმნიშვნელი კარტოგრაფიული მასალა XY კოორდინატების მითითებით WGS-84 კოორდინატთა სისტემაში. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ ინტერაქტიული რუკის მეშვეობით შესწავლილი იქნა უსახელო გეოგრაფიული ობიექტების მდებარეობა და მის მიმდებარედ სახელდებული ქუჩები. ჩვენი მოსაზრებით, ქუჩის განვითარების არეალმა უნდა მოიცვას ჩვენს მიერ რუკაზე არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია (იხილეთ დანართი).

გთხოვთ, გამოგვიგზავნოთ ქუჩის სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-სახელდებისა
და სიმბოლიკის კომისია-კომისიის თავმჯდომარე — თინათინ ნიბლოშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
არქიტექტურის სამსახური

წერილის ნომერი: **60-01180122503**

თარიღი: **12.01.2018**

ადრესატი:
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და

სიმბოლიკის კომისიის თავჯდომარეს ქ-ნ თინათინ ნიბლოშვილს

მის:თავისუფლების #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ქალბატონო თინათინ

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 18.12.2017 წლის #03-031735224 (18.12.2017 #14-01173521330-60) განცხადება, რომლის პასუხადაც გაცნობებთ, რომ თქვენი მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული ჩიხების, შესახვევებისა და გასასვლელების მითითებით.

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახური - მიწის ნაკვეთის
საზღვრების მომზადების განყოფილება -
განყოფილების უფროსი

რუსუდან გეჯაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **67-01181011153**

თარიღი: **11.04.2018**

ადრესატი:
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

სიმბოლიკის კომისიის თავჯდომარეს

ქ-ნ თინათინ ნიბლოშვილს

მის:თავისუფლების #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ქალბატონო თინათინ,

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურმა განიხილა თქვენი 30.03.2018 წლის #03-031808939 (30.03.2018წ. #14-01180891348-67) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული ჩიხების, შესახვევებისა და გასასვლელების მითითებით.

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

რუსუდან მირზიკაშვილი

საქართველო, თბილისი, 0160, ჟ. შარტავას ქ. N7, (+995 32) 272 22 22, ფაქსი:(+995 32) 237 82 24